საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 743/01
27/01/2022

743-01-2-202201272007

შპს „გუდაური ლოჯის“ დირექტორს,
ქალბატონ ეკატერინე დუჩიძეს
მის: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქუმლისციხე
ელ. ფოსტა: info@gudaurilodge.ge;
msulkhanishvili@gre.ge

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 29 დეკემბრის N24253 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქუმლისციხის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 70 მეტრის დაშორებით, ხოლო მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად, გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილიდან დაახლოებით 12 მეტრში ფიქსირდება შენობა-ნაგებობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია და მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „კოტეჯების გეგმის მიხედვით კონტეინერებში წარმოქმნილი წყლების შეგროვება ხდება d=150 მმ მილის საშუალებით, რომელიც უკავშირდება განსახილველ გამწმენდ ნაგებობას“. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული მილის განთავსების საკითხი, კერძოდ, მოწყობილია თუ იგეგმება მისი განთავსება. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული მილი განთავსებული არ არის, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მისი პარამეტრებისა (სიგრძე, ტიპი) და განთავსებისათვის ჩასატარებელი სამუშოების შესახებ;

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული წყალი, სატუმბის საშუალებით, გადაიტუმბება სადრენაჟე ჭაში. დაზუსტებას საჭიროებს სადრენაჟე ჭის პარამეტრებისა და მისი მოწყობისთვის საჭირო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში, კერძოდ ცხრილში 2.3.3.1. (ჩამდინარე წყლების საწყისი ხარისხობრივი მდგომარეობა) და ცხრილში 2.3.3.2. (ჩამდინარე წყლების საბოლოო ხარისხობრივი მდგომარეობა გაწმენდის შემდგომ) წარმოდგენილია განსხვავებული ინფორმაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხრილებში მოცემული ინფორმაცია საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, მოსამზადებელი სამუშაოების დროს მოხდება, სამშენებლო მოედნის მოწესრიგება და დამაბრკოლებელი გარემოებების ლიკვიდაცია. დაზუსტებას საჭიროებს რა იგულისხმება „დამაბრკოლებელ გარემოებებში“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე